



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030169448548620

№ 01-511/თ

23 / ოქტომბერი / 2020 წ.

ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონვეული ინფექციის (COVID-19) შემთხვევების მართვის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 70-ე მუხლის პირველი პუნქტის, 74-ე მუხლის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების, მე-3 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „ო“ ქვეპუნქტების გათვალისწინებით, ახალი კორონავირუსის (COVID-19) შემთხვევების მართვის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებებში ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონვეული ინფექციის (COVID-19) (შემდგომში - COVID-19) შემთხვევების მართვის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, დამტკიცდეს საკონსულტაციო დახმარებისთვის ექიმ სპეციალისტთა სია (შემდგომში „კონსულტანტთა სია“) თანდართული დანართის შესაბამისად.
2. COVID-19-ის დადასტურებული შემთხვევების მართვისას, ყველა სტაციონარულმა დაწესებულებამ, ცალკეულ შემთხვევებში (მძიმე, კრიტიკულ და საშუალო მიმდინარეობისას), საჭიროების მიხედვით, შეუძლიათ მოიწვიონ კონსულტანტ(ებ)ი, ასევე, პრაქტიკული მუშაობის და ექსპერტული გამოცდილების მქონე სპეციალისტები შინაგანი მედიცინის, ანესთეზიოლოგია-რეანიმატოლოგიის, ინფექციურ სნეულებათა სპეციალობის, ეპიდემიოლოგიის მიმართულებით ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
3. ამ ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კონსულტანტის მომსახურების ხარჯი ანაზღაურდება „2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N674 დადგენილებით დამტკიცებული „ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვის“ სახელმწიფო პროგრამის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტის ფარგლებში.
4. მონვეული კონსულტანტი საქმიანობას ახორციელებს „ახალი კორონავირუსით (SARS –CoV-2) გამონვეული ინფექციის (COVID- 19) კლინიკური მართვა“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტის (პროტოკოლის) შესაბამისად.
5. სსიპ-ჯანმრთელობის ეროვნულმა სააგენტომ და სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტომ უზრუნველყოს ამ ბრძანების შესრულებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

